სსიპ - სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

20/09/2024

MES 7 24 0001170007

აკადემიური საბჭოს
დადგენილება

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 20 სექტემბრის N8 ოქმის შესაბამისად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით.
2. პრეტენდენტთა რეგისტრაცია დაიწყოს 2024 წლის 21 ოქტომბერს და გაგრძელდეს 2024 წლის პირველი ნოემბრის ჩათვლით.
3. პრეტენდენტთა რეგისტრაციისათვის საბუთების მიღება იწარმოებს მატერიალური და ელექტრონული ფორმით. მატერიალური ფორმით პრეტენდენტთა რეგისტრაციისთვის საბუთების მიღება იწარმოებს უნივერსიტეტის კანცელარიაში 10:00-დან 17:00 საათამდე (ყოველდღე გარდა შაბათ-კვირისა) შემდეგ მისამართზე: ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. N113, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი 208. ელექტრონული ფორმით საბუთების მიღება შესაძლებელია ყოველდღე (მათ შორის შაბათ-კვირას) ელექტრონულ ფოსტაზე: contact@sjuni.edu.ge
4. პრეტენდენტებთან გასაუბრება ჩატარდეს 4 ნოემბერს.
5. კანდიდატის შერჩევა და წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენა განხორციელდეს 5 ნოემბერს.
6. პრეტენდენტი უნდა იყოს:
ა) უმაღლესი განათლების მქონე;
ბ) ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების სფეროში გამოცდილების მქონე;

7. პრეტენდენტმა სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს:
ა) განცხადება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის სახელზე;
ბ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი;
გ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
დ) უნივერსიტეტის შესაბამისი სფეროს განვითარების სამოქმედო გეგმა;
ე) ავტობიოგრაფია (CV);
ვ) ცნობები:
- ნასამართლეობის შესახებ;
- სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.
- სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ;
- უფლების ჩამორთმევის შესახებ.
8. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
9. დადგენილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ჩაბარდეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.
10. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. N62.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორი ბერიძე მაკა